

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

03.09.2014 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 19/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 30 ივნისი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
უპირობო მოსაზრება	4
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	5
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	6
შრომის ანაზღაურება.....	7
საქონელი და მომსახურება	7
სოციალური უზრუნველყოფა	7
სხვა ხარჯები.....	7
არაფინანსური აქტივების ზრდა	7
ვალდებულებების კლება.....	8
2013-2014 წლების საკასო ხარჯების ანალიზი.....	8
არაფინანსური აქტივები	9
წმინდა ღირებულება	9
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	10
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	11



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს უმაღლესი საბჭოს ბალანსს 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.



მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 6 თვის ბალანსის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, სხვა ხარჯებში აღრიცხულია 6 339 ლარის დაფინანსება, რაც ექვემდებარებოდა ვალდებულებების კლებაში ასახვას. ამასთან, ბალანსის ფორმაში ასახული მონაცემები შეუსაბამოა ბიუჯეტის დამტკიცებულ მაჩვენებლებთან.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების¹ აღსრულების მიზნით, მოსარჩელე სოფიო კობალაძისათვის გადახდილი² იქნა 6 339 ლარი, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებით ანაზღაურებას ექვემდებარებოდა არაუმეტეს 3 (სამი) თვის თანამდებობრივი სარგო, რაც წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, შეადგენს 4 113 ლარს. უმაღლესი საბჭოს მიერ ზედმეტად არის გადახდილი 2 807 ლარი³. გადახდა დაფინანსებული იქნა „სხვა ხარჯების“ მუხლით. განხორციელებული ოპერაცია შესაბამისობაში არ არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მეთოდურ განმარტებებთან, რომლის თანახმად სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები (28211) მოიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ სააღსრულებო ხარჯს, რაც გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილებებით დაკისრებულ თანხებს, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და აღნიშნული თანხების დაფარვა ხორციელდება მიმდინარე პერიოდში (ერთი და იმავე საანგარიშო წელს), ხოლო აღნიშნული გადასახდელები აღირიცხება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და მისი აღსრულება ხდება სხვადასხვა წლებში. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული გადასახდელი არ არის აღრიცხული ორგანიზაციის ბალანსში 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 6 თვის ბალანსის დანართი ფორმა N2, ფორმა N2-1 და ფორმა N2-2 -ის თანახმად, უმაღლესი

¹ სააღსრულებო ფურცელი N18576687688582, 23/10/2013 წ, საქმე N3-332/13

² უწყისი 22/01/2014 წ.

³ სოფიო კობალაძეს ზედმეტად მიღებული თანხა ექვითება ხელფასიდან, ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით



საბჭოს ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმის მონაცემში წარმოდგენილია ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმის პარამეტრები.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 6 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 2 548 302 ლარით, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 2 297 016 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 90.1%). მათ შორის, ხარჯების დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 2 434 420 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 242 972 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 92.1%), არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 92 500 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 32 664 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 35.3%), ხოლო ვალდებულებების კლების დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 21 382 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 21 380 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 100.0 %). უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის შესრულების სრული მონაცემები მოცემულია ცხრილის სახით:

დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების %
ხარჯები	2 434 420	2 242 972	92.1
შრომის ანაზღაურება	1 693 320	1 630 569	96.3
თანამდებობრივი სარგო		909 277	
პრემია		435 992	
კომპენსაცია		285 300	
საქონელი და მომსახურება	719 200	594 644	82.7
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	354 890	338 074	95.3
მივლინებები	68 150	49 807	73.1
ოფისის ხარჯები	114 420	73 726	64.4
წარმომადგენლობითი ხარჯები	16 900	10 396	61.5
სამედიცინო ხარჯები	330		0.0
ტრანსპორტის, ტექნიკისა და... მოვლა შენახვის ხარჯები	140 430	105 000	74.8
სხვა დანაწენი საქონელი და მომსახურება	24 080	17 641	73.3
სოციალური უზრუნველყოფა	3 900	540	13.8
სხვა ხარჯები	18 000	17 219	95.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	92 500	32 664	35.3
ვალდებულებების კლება	21 382	21 380	100.0
სულ:	2 548 302	2 297 016	90.1



შრომის ანაზღაურება

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2014 წლის 6 თვეში გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 1 630 569 ლარს. მათ შორის, თანამდებობრივი სარგო - 909 277 ლარს, პრემია - 435 992 ლარს და კომპენსაცია - 285 300 ლარს. გაცემული პრემია და კომპენსაცია თანამდებობრივი სარგოს 79.3%-ია. პრემიის გაცემა ხდება უმაღლესი საბჭოს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პირებზე, გარდა უმაღლესი საბჭოს წევრებისა, ყოველთვიურად, თითოეულ თანამშრომელზე თვეში თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით, ხოლო ყოველ კვარტალურად - თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

საქონელი და მომსახურება

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2014 წლის 6 თვის საკასო ხარჯი შეადგენს 594 643 ლარს, ფაქტობრივი ხარჯი 609 639 ლარს. გადახრა 14 995 ლარი ძირითადად განპირობებულია 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით „ოფისის ხარჯების“ მუხლში არსებული ნაშთის გაცემით ექსპლუატაციაში და სხვა მიზნებისთვის. გადახრა „ოფისის ხარჯების“ მუხლში შეადგენს 8 102 ლარს.

სოციალური უზრუნველყოფა

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით დაფინანსებული დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების საკასო და ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 540 ლარს.

სხვა ხარჯები

„სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 17 219 ლარს. აღნიშნული მუხლით დაფინანსებულია უმაღლესი საბჭოს სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯები (საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 6 380 ლარი) და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ხარჯი (10 839 ლარი), საიდანაც 6 339 ლარის გადახდის საკითხი მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმის პარაგრაფში არის განხილული.

არაფინანსური აქტივების ზრდა

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენდა 92 500 ლარს, საკასო ხარჯმა შეადგინა 32 664 ლარი, საიდანაც 4 496 ლარის გადახდა გაწეულია უმაღლესი საბჭოს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის სარემონტო სამუშაოებზე, 17 185 ლარი - ჩანაცვლების წესით ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვაზე, ხოლო 10 983 ლარი - სხვა მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარზე.




ვალდებულებების კლება

„ვალდებულებების კლების“ საკასო ხარჯმა შეადგინა 21 380 ლარი. გადახდა განხორციელებული იქნა 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების მომსახურების მიზნით, რომელიც საანგარიშო პერიოდის დასაწყისში შეადგენდა 34 388 ლარს, შემცირდა 21 380 ლარით და 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 13 008 ლარს.

2013-2014 წლების საკასო ხარჯების ანალიზი

უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 6 თვის საკასო ხარჯი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაზრდილია 340 289 ლარით (17.4 %-ით). საკასო ხარჯის ზრდა ძირითადად განპირობებულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების 229 680 ლარით გაზრდით. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს დაფინანსება გაზრდილია 98 988 ლარით, პრემია - 70 992 ლარით, ხოლო კომპენსაცია - 59 700 ლარით.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია აგრეთვე შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯები 45 800 ლარით, მივლინების ხარჯები 5 297 ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 36 261 ლარით, სხვა ხარჯები - 7 819 ლარით. სრული ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამის სახით:





არაფინანსური აქტივები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე არსებული არაფინანსური აქტივები 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 3 313 933 ლარს. 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით არაფინანსური აქტივების მოცულობა შემცირდა 265 706 ლარის ოდენობით და შეადგინა 3 048 227 ლარი. მათ შორის, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი შემცირებულია 254 398 ლარით, სხვა მატერიალური მარაგები - 9 868 ლარით და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები - 5 936 ლარით. განხორციელებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად გაზრდილია შენობა-ნაგებობების ღირებულება 4 496 ლარით⁴.

საბალანსო მონაცემებით, მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის ნაშთი, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 453 076 ლარს. აუდიტის ობიექტის განმარტებით, საბალანსო მონაცემი არასწორია, რადგან 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის საწყისი საბალანსო ღირებულება შეადგენს 509 871 ლარს, ხოლო ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 186 838 ლარს. აუდიტის ობიექტის ინფორმაციით, ცდომილება გამოწვეულია წინა წლების განმავლობაში დაშვებული უზუსტობებით, რაც დადასტურებული იქნა 2013 წლის ინვენტარიზაციით⁵, რომელიც დასრულებული იქნა 2014 წელს.

ინვენტარიზაციის შედეგების გათვალისწინებით, ჩამოწერილი იქნა, უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული, 78 606 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 4 273 ლარს და 29 523 ლარის ღირებულების მცირეფასიანი ინვენტარი. ჩამოწერის შედეგად მიღებული 290 კვ შავი ლითონის ჯართის საკუთრებაში განკარგვა განხორციელდა 89 ლარად, პირობებიანი აუქციონის ფორმით⁶.

წმინდა ღირებულება

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 3 284 118 ლარს. 2014 წლის 6 თვის მონაცემებით, წმინდა ღირებულების ანგარიშზე საკრედიტო ბრუნვა შეადგენს 2 313 400 ლარს. მათ შორის, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება 2 297 016

⁴ ხელშეკრულება N104, 22/04/2014 წ.

⁵ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანება N21, 20/12/ 2013 წ.

⁶ სააუქციონო კომისიის ოქმი N2, 23/07/2014 წ., ნასყიდობის ხელშეკრულება 25/07/2014 წ.



ლარი, არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება - 1 496 ლარი და სხვა ეკონომიკური ნაკადები - 14 887 ლარი.

2014 წლის 6 თვის მონაცემებით, წმინდა ღირებულების ანგარიშზე სადებეტო ბრუნვა შეადგენს 2 560 958 ლარს. მათ შორის, მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯი - 1 630 569 ლარი, „საქონელი და მომსახურება“ - 614 211 ლარი, „სოციალური უზრუნველყოფა“ - 540 ლარი, „სხვა ხარჯები“ - 17 219 ლარი, არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა - 1 052 ლარი და სხვა ეკონომიკური ნაკადები - 297 366 ლარი, საიდანაც 26 855 ლარი არის სატრანსპორტო საშუალებები, ხოლო 270 511 ლარი - სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი. აუდიტის ობიექტის განმარტებით, 266 238 ლარის ღირებულების მანქანა - დანადგარები და ინვენტარი გასულია ნარჩენი საბალანსო ღირებულების გასწორების შედეგად, ხოლო 4 273 ლარის ღირებულების მანქანა - დანადგარები და ინვენტარი - ნარჩენი ღირებულების მქონე აქტივების ჩამოწერის შედეგად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჰენრი სანიკიძე

/აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

გურანდა გვაზავა

/აუდიტორ-ასისტენტი/

27 აგვისტო 2014 წელი

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგ. #	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		0
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		0
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		0
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		0
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		0
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		0
080	დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1260		0
090	დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში	1270		0
100	ბანკის სავალუტო ანგარიში	1280		0
110	სხვა ანგარიშები ბანკში	1290		0
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		0
130	მოკლევადიანი სესხები	1320		0
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		0
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		0
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		0
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		0
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		0
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხ	1354		0
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდ	1355		0
210	გადახდილი დღგ	1356		0
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		0
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		0
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		0
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		0
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		0
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		0
280	მოთხოვნები მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		170
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		0
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		0
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		0
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460	4,573	1,170
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		0
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		0
350	გრძელვადიანი სესხები	1510		0
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		0
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		0
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		0
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	23,969	14,101
410	შენიშნა-ნაგებობები	2110	2,215,356	2,219,852
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	915,198	660,800
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	4,248	4,248
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	2140		0
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	8,386	2,450
460	ფასეულობები	2300		0
470	არაწარმოებული აქტივები	2400	146,776	146,776
	ბალანსი		3,318,506	3,049,567

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგ. #	ნამთი წლის დასაწყისისთვის	ნამთი წლის I კვარტლის ბოლოს
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები			
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3100		
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	34,388	13,
510	ვალდებულებები ბარტერიით	3220		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3230		
530	გადასახდელი დღგ	3241		
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3242		
550	სხვა გადასახდელები	3243		
560	ზოუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3244		
570	ზოუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3245		
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3246		
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3252		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3253		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული	3254		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული	3255		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3256		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3257		
660	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3258		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3259		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3260		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3270		
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3280		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3310		
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3320		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
		3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება			
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება*ზარალი	5100	3,284,118	3,036,55
770	გაუნაწილებელი მოგება	5210		
780	დაუფარავი ზარალი *	5220		
	ბალანსი	5230		
			3,318,506	3,049,56
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარ	01	0	
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	0	
750	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	03	0	
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	146,648	109,66
770	პირობითი მოთხოვნები	05	0	
780	პირობითი ვალდებულებები	06	0	
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	0	
800	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	83,145	141,63
810	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	0	
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	51,925	51,925
830	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	0	0

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა

* აღნიშნული საბუღალტრო დოკუმენტი



ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2014 წლის II კვარტალი

კოდი 245425749

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ზეგმა	დაზუსტებული ზეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (ბაკანო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	2,434,420	2,434,420	2,328,342	2,242,972	2,242,972	2,257,967	14,995
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1,693,320	1,693,320	1,693,320	1,630,569	1,630,569	1,630,569	0
030	1.1.1 ხელფასები	211	0	0	1,693,320	1,630,569	1,630,569	1,630,569	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	0	0	1,693,320	1,630,569	1,630,569	1,630,569	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	0	0	948,780	909,277	909,277	909,277	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	0	0	456,840	435,992	435,992	435,992	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114							
090	1.1.1.1.5 პონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	0	0	287,700	285,300	285,300	285,300	0
10	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
20	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
50	1.2 საქონელი და მომსახურება	22	719,200	719,200	613,903	594,643	594,643	609,639	14,995

07/14 14:25:05

გვერდი 1 5-დან

კოდი	ბარგების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
160	1.2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	354,890	354,890	346,840	338,074	338,074	338,074	0
170	1.2.1.2 მივლინება	222	68,150	68,150	60,300	49,807	49,807	48,637	- 1,170
180	1.2.1.3 ოფისის ხარჯები	223	114,420	114,420	73,726	73,726	73,726	81,828	8,102
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	16,900	16,900	10,396	10,396	10,396	10,610	214
200	1.2.1.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.1.6 სამედიცინო ხარჯები	226	330	330	0	0	0	595	595
220	1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227							
230	1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	140,430	140,430	105,000	105,000	105,000	106,886	1,887
240	1.2.1.9 სამუხდრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	1.2.1.10 სხვა დანარჩენი საჭიროებელი და მომსახურება	2210	24,080	24,080	17,641	17,641	17,641	23,010	5,369
260	1.3 მირითადი კაპიტალის მოხმარება *	23							
270	1.4 პროცენტი	24							
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241							
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							

37/14 14:25:05

შპრდი 2 5-დან

ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ჯგუფი	დაზუსტებული ჯგუფი	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
2	3	4	5	6	7	8	9	10
1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							
1.4.2 საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							
1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							
1.5 სუბსიდიები	25							
1.6 გრანტები	26							
1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
1.6.1.1 მიმდინარე	2611							
1.6.1.2 კაპიტალური	2612							
1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262							
1.6.2.1 მიმდინარე	2621							
1.6.2.2 კაპიტალური	2622							
1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263							
1.6.3.1 მიმდინარე	2631							
1.6.3.2 კაპიტალური	2632							
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	3,900	3,900	3,900	540	540	540	0
1.7.1 სოციალური დაზღვევა	271							

7/14 14:25:05

გვერდი 3 5-დან

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2, სასაქონლო ფორმით	2712							
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	0	0	0	0	0	0	0
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	0	0	0	0	0	0	0
520	1.7.2.2, სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	0	0	3,900	540	540	540	0
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	0	0	3,900	540	540	540	0
550	1.7.3.2, სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28	18,000	18,000	17,219	17,219	17,219	17,219	0
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	0	0	17,219	17,219	17,219	17,219	0
630	1.8.2.1 სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	2821	0	0	17,219	17,219	17,219	17,219	0
640	1.8.2.2 სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	2822							



29/07/14 14:25:06

გვერდი 4 5-დან

ბალანსის დანართი ფორმა #2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

კოდი 245425749

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2014 წლის II კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ცალდებულია	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	92,500	92,500	32,664	32,664	32,664
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	0	0	32,664	32,664	32,664
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	0	4,496	4,496	4,496
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	0	0	4,496	4,496	4,496
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	0	0	28,168	28,168	28,168
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	0	0	17,185	17,185	17,185

ვერდი 1 3-დან

29/07/14 14:26:47

კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ჩაღებულზე	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	0	0	10,983	10,983	10,983
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ზუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ზუნებრივი აქტივები	31432					



გვერდი 2 3-დან

29/07/14 14:26:47

კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დაბტკიცებული ზეგმა	ფარულსტებული ზეგმა	კალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: ქაჩუაძე

8. 5



29/07/14 14:26:47

გვერდი 3 3-დან

ბალანსის დანართი ფორმა #2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

კოდი 245425749

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2014 წლის II კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივების ზრდა	32					
020	1.1 საშინაო	321					
030	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
050	1.1.3 სესხები	3214					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
070	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322					
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	1.2.5 დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებების კლება	33	21,382	21,382	21,380	21,380	21,380
200	2.1 საშინაო	331	0	0	21,380	21,380	21,380
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313					

29/07/14 14:28:07

გვერდი 1 2-დან

სტრ. კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	შოთხოვნა	გადახდა (ხაკასო ხარკი)
1	2	3	4	5	6	7	8
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხოლოდ სახელმწიფო საწარმოები და ო	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორულ დავალიანებები	3318	0	0	21,380	21,380	21,380
280	2.2 ხაგარეო	332					
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხოლოდ სახელმწიფო საწარმოები და ო	3325					
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორულ დავალიანებები	3328					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: ქაფიშვილი

ბ. ა

29/07/14 14:28:07



გვერდი 2 2-დან

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

კოდი 245425749

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2014 წლის II კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

ანგ. #	დებეტი	თანხა	ანგ. #	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისთვის	3,284,118
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	1,630,569	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2,297,016
7200	საქონელი და მომსახურება	614,211	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენს. და დახმ.-ის გასაცემად	0
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	0	6000	შემოსავლები	0
7310	მ.შ. ფიზიკური ცეცთა	0	6300	მ.შ. გრანტები	0
7400	პროცენტი	0			
7500	სუბსიდიები	0			
7600	გრანტები	0			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	540			
7800	სხვა ხარჯები	17,219			
1300 - 1400	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	0	1300 - 1400	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	0
3000	ფინანსური აქტივები	0	3000	ფინანსური აქტივები	0
1600 - 2000	ფინანსური ვალდებულებები	0		ფინანსური ვალდებულებები	0
8000	არაფინანსური აქტივები	1,052	1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	1,496
3245	სხვა ეკონომიკური ნაკადები	297,366	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	14,887
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	0			
	სადეპოზიტო ბრუნვა	2,560,958		საკრედიტო ბრუნვა	2,313,400
	სულ ჯამი**	2,560,958		სულ ჯამი***	5,597,518
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	0		ნაშთი პერიოდის ბოლოს	3,036,559

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება სახელმწიფოს სახელით გაწეული მომსახურებებით მიღებული შემოსავლებიდან და სხვა ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადეპოზიტო ნაშთის წლის დასაწყისისთვის ემატება სადეპოზიტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთის წლის დასაწყისისთვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა



ბალანსის დანართი ფორმა # 5

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება - გასვლის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

კოდი 245425749

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2014

წლის II კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

რ. გი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისის - თვის	მ ი ღ ე ბ ა										
			შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მომდინარე პერიოდის	ბარტერი	იმვე დონის სახ. ერთეულსაყიდ - ლოდ	არასაბერა - ციო შემოსავლებით	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	დანაკ - ლის აღდგენით	სხვა მიღებები
0	1. მატერიალური მარაგები	23,969		43,977	0	1,496	0	0	0	87	0	0	0
0	1.1 სტრატეგიული მარაგები			0									
0	1.2 სხვა მატერიალური მარაგები	23,969		43,977	0	1,496	0	0	0	87	0	0	0
0	1.2.1 ნედლეული და მასალები			0									
0	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება			0									
0	1.2.3 მზა პროდუქცია			0									
0	1.2.4 შემდეგში რეალიზაციისათვის შეძენილი საკონველი			0									
0	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	2,104		190	0	0	0	0	0	0	0	0	0
0	1.2.6 სათადარიგო ნაწილები			7,843	0	0	0	0	0	0	0	0	0
0	1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	21,865		35,944	0	1,496	0	0	0	87	0	0	0
0	2. ძირითადი აქტივები	3,134,802		32,664	0	0	0	0	0	14,800	0	0	0
0	2.1 შენობა-ნაგებობები	2,215,356		4,496	0	0	0	0	0	0	0	0	0
0	2.1.1 საცხოვრებელი შენობები			0									
0	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	1,894,295		4,496	0	0	0	0	0	0	0	0	0
0	2.1.3 საგზაო მაგისტრალები			0									
0	2.1.4 ქუჩები	188,778		0									
0	2.1.5 გზები			0									
0	2.1.6 ხიდები			0									
0	2.1.7 გვირაბები			0									
0	2.1.8 გაყვანილობის სისტემები	125,877		0									
0	2.1.9 სხვა ნაგებობები	6,406		0									
0	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	915,198		28,168	0	0	0	0	0	14,800	0	0	0
0	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	462,122		17,185	0	0	0	0	0	14,800	0	0	0
0	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	453,076		10,983	0	0	0	0	0	0	0	0	0
0	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	4,248		0									
0	2.3.1 კულტივირებული აქტივები			0									
0	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	4,248		0									

17/14 15:13:10



კოდი 1 2-დან

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისის - თვის	მიღება					სხვა შემოსავლები - შიში	სხვა გეოზომი - კური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	დანაკლისის აღდგენით	სხვა მოღებები
			შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	ბარტერიით	იმედ დონის საბ. ერთე. უსასყიდ - ლოდ	არასაოპერა - ციო. შემოსავლები					
300	2.4 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები			0								
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	8,386		0								
320	4. ფასეულობები			0								
330	4.1 ძვირფასი ქვები და ლითონები			0								
340	4.2 ხელოვნების ნიმუშები			0								
350	4.3 სხვა ფასეულობები			0								
360	5. არაწარმოებული აქტივები	146,776		0								
370	5.1 მიწა	146,776		0								
380	5.2 წიაღისეული			0								
390	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები			0								
420	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები			0								

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა

28/07/14 15:13:11

ფორმა 2 2-დ

ბალანსის დანართი ფორმა # 5

2014 წლის II კვარტალი

კოდი 245425749

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	გაყიდვით	ბარტით	იმჯე დონის სახ. ერთ.ზე უსასყ.	არასაომე - რევიო ხარვეზებით	პენიონისა და სხვა კაპიტალის სახით	ხელუფასები სასაქონლო ფორმით	სუბსიდიები	გრანტებით	სოფილუ - რი დახმარებით	დამაკლი - სით	სხვა ხარვეზებით	სხვა ეკონომი - ეური ჩაკადებით	საკუთ. სახსრ. კაპიტ. შეცვლა	მართვ. კაპიტა - ლის მოხმარ.	საქონლო და მომსახურ. რეზა	სხვა გასვლები	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
010	0	0	1,052	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	14,101
020																	0
030	0	0	1,052	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	14,101
040																	0
050																	0
060																	0
070																	0
080	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
090	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	95
100	0	0	1,052	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
110	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	14,006
120												297,366	0	0	0	0	2,884,900
130																	2,219,852
140																	0
150																	1,898,791
160																	0
170																	188,778
180																	0
190																	0
200																	0
230																	125,877
240	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	297,366	0	0	0	0	6,405
250	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	26,855	0	0	0	0	160,800
260	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	270,511	0	0	0	0	467,252
270																	193,548
280																	4,248
290																	0
																	4,248

ფორმა 1 - 2-დან

გ ა ს ვ ლ ა																ნაშთი წლის (პერიოდის) შეღოს
გაყიდ- ვით	შარ- ტერ- ით	იმავე დონის სახ. ერთ-ზე უსასყ.	არასაიდ- რადიო ხარჯებით	აქციებისა და სხვა კაპიტალის სახით	ხელფასები სახელმწი- ფო- რით	სუბსი- დიებით	გრანტებით	სოციალუ- რი დახმარე- ბით	დანაკლ- ისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომი- კური ნაკადებით	ხაკეთ. სახსრ. კაპიტ. შექმნა	ძირით. კაპიტა- ლის მოხმარ.	საქონელი და მოშახუ- რება	სხვა გასვლები	
300																0
310	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5,936	0	2,450
320																0
330																0
340																0
350																0
360																146,776
370																146,776
380																0
390																0
420																0

